"დინამო" (მინსკი) – "დინამო" (თბილისი) 1:0 (0:0)

მინსკი "დინამოს" სტადიონი, 19 აპრილი.

მინსკი – კურბიკო, როდნენოკი, გომონოვი, ტიმოშენკო, დემიდოვა, ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, რისახინი, ალეინიკოვი, მარხელი (ალჩაგიროვი 59), შალიმო (ანტონოვიჩი, 26).

თბილისი–გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, თედეევი (თეთრაძე, 81), ჯიშკარიანი, ცვეიბა, ცაავა (კაჭარავა 58), ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

გააფრთხილეს გოგიჩაიშვილი, რასიხინი.

მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

დუბლიორები – 2:1.

თანაკლუბელთა მატჩი მინსკში მიმდინარეობდა დაძაბულად. მასპინძლებს პირველი ტაიმის განმავლობაში მცირე უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მათი შეტევების წინააღმდეგ ორგანიზებულად, შეთანხმებულად იბრძოდნენ თბილისელთა მცველები, კარგად ითამაშა მეკარე გაბელიამ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთის მოგერიება შეძლო, თუმცა, სახიფათო მომენტები მინსკელებს შესვენებამდე ცოტა ჰქონდათ, რაც შეეხება სტუმართა საპასუხო იერიშს, იგი არასახიფათო და იშვიათი იყო.

ყველაფერი გადაწყდა მეორე ტაიმში, კერძოდ, 61–ე წუთზე. თბილისელთა მცველებმა უხეში შეცდომა დაუშვეს, საშუალება მისცეს მინსკელთა თავდამსხმელს რასიხინს მიეღო და დაემუშავებინა ბურთი და უძლიერესი დარტყმით გაეტანა კარში – 1:0.

როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება, თბილისელებმა თავიანთი ძალები საიერიშოდ განალაგეს, გუნდი ბევრს ეცადა, მაგრამ მასპინძელთა დაცვა და მეკარე რურბიკო შეუცდომლად მოქმედებდნენ, მათ შესძლეს კარის დაცვა და გამარჯვებაც შეინარჩუნეს.

თბილისის "დინამომ" ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია ჩემპიონატში და ეს სერიოზულ საგანგაშო სიგნალად უნდა ექცეს მთელი კოლექტივისთვის, ბევრს ვლაპარაკობთ, რომ ახალგაზრდული, პერსპექტიული გუნდი გვყავს, ეს ასეცაა, მაგრამ ეს ახალგაზრდობა არ უნდა განვაწყოთ მარცხისთვის. გუნდს სადღეისოდ აშკარად არასახარბიელო მაჩვენებლები აქვს – 4 ფრე, 2 წაგება და მხოლოდ ერთი გამარჯვება გატანილი და მიღებული ბურთების უარყოფითი სხვაობით, შექმნილი მდგომარეობა გუნდის თითოეული წევრისგან მოითხოვს ძალების მაქსიმალური მობილიზებით თამაშს, გუნდმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა განასხვავოს მატჩები საკუთარ თუ მეტოქის მინდორზე. ვერ ვიტყვით, რომ მინსკში ან ვილნიუსში გუნდმა მოუნდომებლად, სუსტად ითამაშა, არც ისაა თავის გასამართლებელი, ორივე შემთხვევაში რომ ანგარიში მინიმალური იყო, მაგრამ მარტოოდენ ამ მაჩვენებლებით თავის დამშვიდება არავითარ შემთხვევაში არ გვარგებს, ჩემპიონატი ჩემპიონატია, დიდი ანგარიშით დამარცხდება თუ მცირედი სულ ერთია, ქულები გვჭირდება, უნდა ვიბრძოლოთ მათ მოსაპოვებლად, და მაინც, ასეთი მინიმალური ანგარიშით დამარცხება იმაზე მეტყველებს, რომ გუნდს აქვს საბრძოლო რეზერვები და განწყობა, დინამოელებს უახლოეს ხანებში ჩასატარებელი აქვთ საბჭოთა კავშირს თასისა და საკავშირო ჩემპიონატის საპასუხისმგებლო, უძნელესი მატჩები, მათ უნდა იბრძოლონ მთელი მონდომებით, სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობანი.

"ლელო" 22 აპრილი, 1989 წ.